

F1/3 212921

1877-1896

№ 3

პარასკევი, 5 იანვარი 1896

საქართველოს
პარასკევი, 5 იანვარი 1896
საქართველოს
საქართველოს

ივერიის

სიკოლომის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

იანვრის 6-ს, 1896 წელს,
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართულ იქმნება

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავ-
ლებლის სასარგებლოდ
ფასი ბილეთისა 2 მანეთი
ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრე-
ლი კაბებითაც დაესწრნენ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“
შვიცართან.

სახალწლო სარეკლამო

გამოკვდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემა

კელის კალენდარი

1896 წლისა

მშვენიერის სურათებით
ფასი ექვსი შაური
ვინც ქართველთა ამხანაგობის მა-
ლაზიაში ექვსი აბაზის წიგნებს იყი-
დის (ამხანაგობის მიერ გამოცემულს)

კალენდარი მუქ- თად დაეთმობა.

გამოკვდა და ისყიდება ყველა
წიგნის მაღაზიებში
გაყარ. გუნაას მაყრ გამოცემულა

ფელეტონი

სასწავლი ნომერი

იანვრის პირველი, ე. ი. ახალწლის
დღე იყო. საზოგადოდ ამ წელს
თბილი ზამთარი იდგა და დღესაც
არა ციოდა. თოვლს ქალაქის ირგე-
ლივ ოღრო-ჩოღრო მთა-გორაკებში
თუ ნახავდით, თორემ თვით ტფი-
ლისში არსადა სჩანდა. სამაგიეროდ
ქუჩებში ტალახი ბლომად იდგა. ნა-
შუადღევს ოთხი საათი იქნებოდა,—
აუარებელი ეტლები ძლივს სცილ-
დებოდნენ ერთმანეთს. ზოგნი ფეხით
მიეშურებოდნენ „სასკინჩაჩიტოდ“,
როგორც უწოდა დარბაზობას ერთმა
ქართველმა მწერალმა. ზოგი, უმე-
ტესად დაბალი ხალხი, დღესას
წაულისა გამო ღვინით გამომთვრა-
ლიყვნენ და ესენიც საზოგადო ფე-
ხის ხმას აჰყოლოდნენ. ზოგს-კი ისე
გადაემატებინა ბახუსი, რომ შუა
ქუჩაში გაჩერებულიყო და გამვლე-
სა და გამოვლელს ყველას ულო-
ცავდა ახალ წელიწადს. მეარნებებს
და აკრობატებს დრო შეერჩინათ
და ეზო-ეზო დადიოდნენ. მეც, რო-
ცა მომწყინდა ქუჩა-ქუჩა ტარება და
ხალხის თვლიერება, დავბრუნდი
ჩემს ოთახში, შევანთე ბუხარი და
მოუჯექე გვერდით, თვლი ცეცხლის
აღმა მიიზიდა, გამაშტერა და პატა-
რა ხანს უკან წაველ ფიქრებში, და-

საქართველოს კალენდარი 1896 წ.

ფასი ათი შაური.
უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ-
გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.
(10-4)

ქართული თეატრი.
კვირას, 7 იანვარს, 1896 წ.
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“
დასისაჯან

წარმოდგენილი იქნება
ქ. ავალიშვილისა, კ. ყიფიანისა და
ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

„მარტოები“

ტრაგედია 5 მოქ. შილდერისა, თრგ. ნ.
ავალიშვილისა
მონაწილეობას იღებენ: ავალიშვი-
ლისა და სხვ. ბ. ნი: ყიფიანი, ალექ-
სი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევ-
ანოვი, კანდელაკი, ადამიძე, შათირი-
შვილი, საფაროვი, წერეთელი, და
სხვ.

აღიგებების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოყე-
ბის უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ოთხშაბათს, 10 იანვარს, სვიმონი-
ძის საბენეფისოდ დანიშნულია „ვე-
რაგობა და სიყვარული“.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

წვრილებით არ მახსოვს რომელ სფე-
რებში გამატარა ჩემმა ოცნებამ,
მხოლოდ როდესაც უეცრივ გარედამ
შემომესმა სალაშქრის ხმა, შეშლი-
ლივით წამოვიძახე: „ოხ, რამდენი
ხანია მას აქეთ რაც ადამიანი ილ-
ტვის პროგრესის გზაზედ, რამდენი
ხანია რაც მის თვალებში პირველად
შეაშუქა იმ სინათლემ, რომელიც
შორადამ ცხიერად უბრწყინავს და
უღმის უბიწო ქალივით? რამდენი
ამისთანა დღე უნდა გადაგორდეს,
რომ ადამიანი მაშვარალი, დალილ-
დაქანცული დაღსვენოს მის წმინდა
სხივებზედ?!..“ სჩანს ჩემს ფიქრებს რა-
ღაც ერთობა უნდა ჰქონოდა დღე-
ვანდელ დღესთან, დღესთან, რომე-
ლიც აღნიშნავდა მომავალი წლის
დასაწყისს და რომლის იქითაც გაუფ-
ლია რამოდენსამე საუკუნეს იმ დღი-
დგან, რაც ოთხფეხი ცხოველი ორ
ფეხზედ შედგა და გადააბიჯა იმ საზ-
ღვარს, რომელიც მას ჰყოფს პირუტ-
ყვთაგან.

დიახ, უცებ თოფ-ნაკრავით წა-
მოვიძახე ზემორე მოყვანილი სიტყ-
ვები, როდესაც სალაშქრის სევიან-
მა ხმამ შემაკრთო და რადგანაც
მისი ჰანგები ჩემს სულიერს მდგო-
მარეობას ეწყობოდნენ, ისე, რო-
გორც მისი ამონაკენისი ეწყობოდა
მისსავე ნელ-ნელა მისუსტებულს მე-
ლოდიას და ჩანაკენს, ჩემი სენა
ახლა ამან მიიზიდა და ნელ-ნელა
დაიპყრო მთლად ჩემი არსება, ანუ
უკეთ ვსთქვით, მთლად ჩემი გული,

ახალი ამბავი

* * * დღეს შესრულდა 50 წელი-
წადი მას შემდეგ, რაც ტფილისში
დაარსდა და გამოდის რუსული გა-
ზეთი „კავკაზი“. ამ ხნის განმავლო-
ბაში გაზეთი შეძლებისა და გვარად
ემსახურებოდა ქვეყანას. გაზეთის რე-
დაქციის სადგომში დღეს გადახდილ
იქნება სამაღლობელი პარაკლისი.

* * * ჯერ ისევ არ დაწყებულიყო
ბათუმსა და ტფილისს შუა მატარებ-
ლების პირ-და-პირი მიმოსვლა, რომ
ქუთაისისა და ტფილისს შუა ზეპარ-
ზე მიმოსვლა დიდის თოვლებისა გა-
მო შესწყდა. 20 დეკემბრამდე კიდევ
როგორმე შეიძლებოდა გადასვლ-ვა-
დმოსვლა თავს-ბრუ დამსხმელ ხე-
ხუვებსა და ღრანტებზე გაყვანილ
ხეულ ბილიკებზე; რადგანაც ამ
მთაზედ ხშირად ნამქრები იცის, გზას
მუდამ მუშები ასუფთავებდნენ. მაგ-
რამ გაიხსნა თუ არა პირ-და-პირი
მიმოსვლა ტფილისსა და ბათუმს შუა,
ზეპარზე სიარული უკვე შესწყდა,
ვიღრე გაზაფხულამდე.

* * * ხოშმაბათს, 28 დეკემბერს,
ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულო
დარბაზში ქართული წარმოდგენა
იყო გამართული ჩვენის სახელოვა-
ნისა და საყვარელის მსახიობ ქალის
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფი-

რადგანაც ამ დროს ჩემი სხეულის
ყველა ნაწილს გულისაკენ მიეზიდათ
თვისი ძაფები და იქ საესე ფალაში
ასმევდნენ მათ რაღაც სასიამოვნო
ნაღვლიან ნეტარებას, რომელსაც შე-
მდეგ ჰგზავნიდნენ აქეთ-იქით და აქ-
რიალებდნენ სხეულს გამოურკვევე-
ლის სიტკობებით. აგერ დაჰკენესა
სალამურმა, კიდევ დაჰკენესა, მერე
მალა აუწია ხმას, მიხარ-მოხარა,
აათრთოლა და მერე ჩაიქეთინა, ჩა-
იქეთინა კიდევ და ნელ-ნელა მიი-
ლულა. მას აჰყვა ჩემი გულიც, მა-
ნაც სალაშქრისაგან დაიკენესა, დაი-
ქეთინა, შეიკუმშა, მერე უცებ და-
იგმინა, გაჰფანტა ძარღვებში შეგუბე-
ბული სისხლი და გაუჩრდა, გაუჩრდა
ისე, თითქოს შესწყვიტა მოქმედება.
კვლავ ფიქრში წაველ, გამოურკვევე-
ლმა ბურუსმა, კვლავ შეგვია ჩემი გო-
ნება, მაგრამ ისევ სალაშქრის ხმამ
გამომარკვია; ხოლო ეს ხმა იმ გვა-
რი აღარ იყო. იგი რაღაც ნაირად
გასწიოდა და კიოდა არეგ-დარეგით.
ეს ის ხმა იყო, რომელზედაც როცა
კაცი ცეკვამს, ფეხებს აყოლებს. მე-კი
ამ ხმამ მომაგონა ჩვენი ცხოვრების
სიმსუბუქე, მე-კი ამ ხმამ მომაგონა
ის უხილავი ძალა, რომელიც, რო-
გორც ჯინჯილზე მიბმულს მიამუნს,
ათამაშებს და მასხარად ატლინებს
ჩვენს ცხოვრებას.

— ხა, ხა, ხა, ხა... შემომესმა ამ
ხმასთან ერთად გარედამ სიცილი, ეს
კი მეტის-მეტე იყო, მე ვვლარ მოვი-
თმინე, სიბრაზის კანკალმა ამიტანა.

სოდ. წარმოდგენილი იყო: „ბიძიას-
თან გამოხუმრება“ თავ. რ. ერის-
თავისა და „ხანუმა“ აქ. ცაგარლი-
სა მეორე მოქმედებიდამ. წარმოდგე-
ნაში უმთავრესს როლებს თამაშო-
ბდნენ: ქ. ნ. მ. გაბუნია-ცაგარ-
ლისა, ბ. ბ. ვას. აბაშიძე, ვ. ბალა-
ნჩივაძე და სხვანი. წარმოდგენამ სა-
ერთოდ ჩინებულად ჩაიარა. საზოგა-
დოება ბევრი დაესწრო და ბევრიც
აცინა და ასიამოვნა გაბუნია-ცაგარ-
ლისა, და ვ. აბაშიძის მშვენიერმა
თამაშმა.

დასასრულ წარმოდგენისა ბ. ნ. მ.
ვ. ბალანჩივაძემ რამდენიმე სცენა
წაიკითხა, რომელმაც დიდად აცინა
საზოგადოება...

* * * ინე. რუდნიცკის ჯერ არ
დაუსრულებია გამოკვლევა ადგილე-
ბისა რაჭაში, სადაც განზრახულია
ჩვენის გზის გაყვანა ქუთაისისა და
გორისაკენ. „ნოვ. ობოზ“-ს სიტ-
ყვით პირვანდელი პროექტი ცოტა-
თი იცვლება მით, რომ დიგორის
გვირაბის გარდა, გზას დასჭირდება
კიდევ ერთი გვირაბი გორის მხარის
ერწოს სოფელთან. გამოკვლევა და-
სრულდება გაზაფხულზე და მაშინ
გადაჭრით გავიგებთ, რა მოელის
პროექტს, რომლის განხორციელება
მეტად სასურველია ჩვენის ქვეყნისა-
თვის.

* * * „ნოვ. ობ.“-ს დებეშით ატ-
ყობინებენ პეტერბურგიდან: უმაღლე-

„როგორ, თვით ადამიანებაც დასცი-
ნიან თავის თავს?!“ ვიფიქრე მე. მე-
გონა იმათაც ისავე აზრები უტრია-
ლებთ ამ წუთას თავში, როგორც მე.
ოხ, რა ხარ, ადამიანო, როდესაც
შენს გონებას დაიპყრობს, დაიმონა-
ვებს ოცნებისაგან გაზვიადებული აზ-
რი! მაშინ გგონია, რომ იმავე აზრე-
ბით არის გამსქვალული თვით ის
ღრუბელიც-კი, რომელიც წასულა
შორს, შორს და, როგორც შობილი
მშობელს, ისე ჩაჰკვრია ლურჯს ცას.

გავადე კარი და სწორეთ ჩემი აზ-
რის დასამტკიცებელი სურათი წარ-
მომიდგა თავალ წინ. აქ ადამიანები
იციანოდნენ თვის თავზედ; მხოლოდ
იმ გარჩევით, რომ დასცილოდნენ ერთს
ნახევრად შიშველს, წელში მოხრილს
არსებას და ვერა ჰგრძნობდნენ, რომ
ეს ადამიანი თვით იგინივე იყვნენ,
რომ ეს ადამიანი იყო ერთი დიდი
ნაწილი იმ სხეულისა, რომელსაც
კაცობრიობას ეძახიან და რომ-
მელსაც თვითონაც ეკუთვნოდ-
ნენ. დიახ, ესენი ვერა ჰგრძნობდნენ
ამას და გულიანად ხარხარებდნენ,
როდესაც მოხუცი მესალამურე მათი
სურვილისამებრ თან სალაშქრს აქ-
ყვინებდა და თან ფეხებს აცო-
დვილებდა, ტლინკავდა. მე არა მე-
როდა თუ ეს იგივე მესალამურე
იყო, რომელიც წელან ისე აკვნესებ-
და სალაშქრს. კარგა ხანს უცქერო-
დი გაშტერებით ამ სურათს. სალა-
მოს სიომ თან-და-თან გამიგრლია
შუბლი და ცოტაოდნად დამიშვიდა

სის ბრძანებით კიშინევის ოლქის სა-
სამართლოს თავმჯდომარე ვასილიე-
ვი დანიშნა ტფილისის სამოსამართლო
პალატის პროკურორად.

* * * იმავე გაზეთის დებეშაში აღ-
ნიშნულნი არიან პირნი, რომელნიც
უმალღესად იქმნენ დაჯილდოვებუ-
ლი 1 იანვარს. სხვათა შორის მო-
ხსენებულია ტფილისის III განყო-
ფილების მომრიგებელი მოსამართლე
ბ. წინამძღვარიშვილი, რომელსაც
ეზობა წმ. ვლადიმირის ორდენი მე-
ოთხე ხარისხისა.

* * * მდინარე ვოლგას გაყინვისა
გამო და რადგანაც ქუთაისიდან აღ-
მოსავლეთით მდებარე რკინის გის სა-
დგურები მეტად დაშორებულნი
არიან, პირ-და-პირი მიმოსვლა მოს-
კოვიდამ კავასიაში კავკაზე იქნება.
ამასთან ყოველგვარს ზრუნვას ბარ-
გის გადასაზიდად თვით ფოსტა კის-
რულობს და გამგზავნენი არავი-
თარს მონაწილეობას არ მიიღებენ.

* * * 31 დეკემბერს, კვირაცხოვ-
ლის (პაისორთა) სამრევლო სასწავლე-
ბლის მოწაფეთ გაუმართეს შობის
ხე. ამ დღესასწაულს დაესწრნენ
მზრუნველნი ამა სასწავლებლისა,
დეკანოზი გურგენიძე და მოწაფეთა
მშობელნი. დღესასწაულმა მხიარ-
ულად ჩაიარა. ბავშვებს საჩუქრები
დაურთვეს და დიდად გახარებულნი
სახლში დაბრუნდნენ.

დიდი მაღლობის ღირსნი არი-

ნერგები. როცა სრულდებოდა გამოვერ-
კვივე მხოლოდ მაშინ მივეცი ჩემს
თავს ანგარიში და დავრწმუნდი,
რომ ჩემს წინ ერთის მხრივ იდგა
ჯგუფი ადამიანებისა, რომელთათვი-
საც მოტყუებულს ბედნიერებას და-
ებრმავებინა თვალები, და რომელთაც
ისე შემოსწოლოდათ გულზე გადა-
მეტებული საჭმელი, რომ ძლივს-ღა
ქნიშავდნენ, მეორე მხრივ იდგა ჩოხა
შემოგლეჯილი, კანჭებ ტიტველა
არსება. პირველმა ჯგუფმა მაგდენად
არ დამაინტერესა, რადგანაც მათ
კარგად ვიცნობდი: მათი სახელი
„დაჯექიმია“, ხოლო მეორე პირმა-
კი მიიპყრო ჩემი ყურადღება და
აღძრულმა ცნობის მოყვარეობამ მა-
იძულა შემეყვანა იგი ჩემს ოთახში,
რათა გამეგო მისი ვინაობა.

— რა გქვიან, მეგობარო? ვკითხე
მას როდესაც სახლში შევდიო-
დით.

— ენოქი, მომიგო მან.

— ის შენ იყავი, რომ აკვნესებდი
წელან სალაშქრს? კვლავ დავეკით-
ხე ენოქს, როდესაც მივიპატიე
სკამზედ და მეც მის პირ-და-პირ
დავჯექე.

— მე გახლდით, მომიგო მან და
მიიღვა სალაშქრი ტუჩებზე.

— მოიცა, მაგისთვის არ დამიძახ-
ნიხარ, შევყენე მე, რადგანაც ენო-
ქა სალაშქრის დაკვრას აპირებდა და
ზედ დაურთე: სალაშქრი იქნები?

— აქაური არა ვარ.

— სოფლელი იქნები?

ან ზემოხსენებულის სასწავლებლის მზრუნველნი და მასწავლებელი— ქალი მართა ნადირაშვილი, რომელიცა მეცადინეობით აგერ რამდენიმე წელიწადია იმართება ხოლმე ეს საბავშვო ღღესასწაული.

მასწავლებელს მზრუნველებმა დიდი მადლობა გადაუხადეს და შრომაგარჯისათვის საჩუქარიც მიართვეს.

* * ამ ორის თვის წინად დაბა ონში ერთი შემადრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთს გლეხს გვარად ხომასურძის, საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, შიგ შუა გულ ბაზარში წაართვეს ოცდა სამი თუმანი ფული, თითონ გლეხს იმდენი სცემეს, რომ იმის მორჩენა აღესაყვად არის. გამოძიება სწარმოებს.

* * წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღოთ. ბეჟან წერეთლისაგან ორასი თუმანი, ნაანდერძევი საზოგადოების სასარგებლოდ განსვენებულის თ. გრიგოლ წერეთლისაგან,

საზოგადოების გამგეობა უგულითადეს მადლობას უძღვნის კნ. მატრონა ბეჟანის ასულს წერეთლისას და განსვენებულის სხვა მემკვიდრეებს ხსენებულის ფულის გადმოცემისათვის.

* * გუშინ-წინ, მ იანვარს, ტფილისში ჩამოვიდა ფოთის ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე. ბნი ნიკოლაძე ქ. ფოთის საქმეებისა გამოა ჩამოსული.

* * რადგანაც ჩვეულება აქვთ ნათლილებს დღეს, წყალში ჯვრის ჩასვენების დროს, თოფები და რევოლვერები სცალონ ხოლმე და ხშირად ამას უბედური შემთხვევაც მოჰყვება ხოლმე, ტფილისის პოლიციემისტერმა ბრძანება გასცა: პოლიციელებმა თვალ-ყური ადევნონ და ნება არ მისცენ, უფრო-კი იორდანის მახლობლად.

— დიან, მხოლოდ შორს სოფლიდამა ვარ მოსული, მომიგო მან და გავკვირვებით შემომხედა, რათ მოსდომებია ამას ჩემი ვინაობის შეტყობა.

მე ვეცადე უფრო ღმობიერი კილო მიმელო, რომ ენოქა გულ-ახლილი ყოფილიყო.

— მე მომეწონა შენი სალამურის დაკვრა და მინდა გავიგო, სადაური ხარ.

მან ირონიულად დაჰხედა თვის სალამურს და შემდეგ მიპასუხა.

— სასუნელი ვახლავართ. ამ სიტყვებთან ენოქმა ისე ამოიკვნესა, რომ გვერდებოდათ გულ-ღვიძლში ხანჯლის წვერმა გაუარაო.

— სასუნელი? გავიკვირე მე, მერე ტფილისში რისთვის მოსულხარ?

— მე თვით არ მოველი.

— მაშ ძალად წამოგიყვანეს?

— არა.

— არც ვისმეს წამოუყვანიათ ძალათ, არც შენის ნებით მოსულხარ, მაშ რა მიზეზით გახინდი ტფილისში? პირდაპირ დაუყენე კითხვა ჩემს მობაასეს, რომელსაც ეტყობოდა არ ესამოგებოდა ამხედ ლაპარაკი.

— ნუ მკითხავთ, დამანებეთ თავი, მითხრა მან ჯუპაყოფილოდ და დააბრა გარეთ გასვლა, მაგრამ მე თითქმის ხვეწნით შევაყენე და განუშეორე კითხვა.

— მაშ კარგი, მოგახსენებთ, მითხრა მან, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ და დაეშვა ბუხარ-წინ სკამზედ.

* * ქ. სიდნაღი: საშინელოა ქარმა, რომელიც 28 დეკემბრის ღამეს დაიწყო და განუწყვეტლივ ჰქროდა 31-მდის, დიდ-ძალი ზარალი მოუტანა როგორც სოფლებს, ისე სიღნაღსაც. წარმოიდგინეთ რა საშინელი ქარი უნდა ყოფილიყო, როდესაც არამც თუ კრამიტი აღარ შეარჩინა სახლებს, მაგალითად სიღნაღში ბევრი აივნები თავისის საჩხებით სულ მინგრეულ-მონგრეულია, ქვითკირის გაღვენები ძირს არის დაცემული და სხვ. თვითონ საუცხოვო და მკვიდრს შენობას სიღნაღის სამაზრო სასწავლებლისას არამც თუ აპყარა ეესტი და რამდენიმე ასსა-ევენზედ გადაჰყარა, თვითონ აივანიც საშინლად მიანგროა, ერთი სიტყვით, ისედაც შევიწროებულის ხალხისათვის საკმაოა და შესამჩნევი ზარალია.

* * სოფელი წყაი (რაჭის მაზრა): ეს მეორე თვე მიღის მას აქეთ, რაც აქეთ ცუდი ამინდები დაიწყო, ნოემბრის პირველ რიცხვიდან დღემდე მზის სხივი თვალთ აღარ გვიანხავს; სულ ყოველ დღე გადაუღებლივ წვიმა და თოვლ-ქყაპი. ბევრგან აპყარა მეწყერმა ამ ცუდის ამინდის მიზეზით გლეხები, და გზებიც მრავალგან დააქცია. თითქმის ზოგ-ზოგი სოფელი მიუღვამელ ადგილად გადაიქცა: მაგალითად, სოფელ ხიმში მთელი გზა დაქცეულია, სადაც ხარურმის გაყვანა-კი არა, ცალიერი კაციც გასვლაც დიდად სახიფათო საქმეა. მოხუცებულების თქმით ასეთი წვიმა ცუდი შედეგია მიწის მოსავლისათვის. სინოციერე რაც ჰქონდა მიწას, მთლად გამოაყალა წვიმამ, და ისე დააკლა ერთმანეთზე, რომ გაზაფხულზე თუ ცოტა მიინც წაშრა, ყოველად შეუძლებელია იმის მოხვნა.

მერე თვალი თვალში გამიყარა ისეთნაირად, თითქოს უნდოდა შეეტყო გულკეთილობა აიძულებს ამ კაცს გაიგოს ვიღაც მაწანწალის ვინაობა, თუ უბრალო ცნობის მოყვარეობა.

— მაშ გინდათ ჩემი ვინაობა გაიგოთ? კიდევ დამეკითხა ის და უცებ გაშალა ხელები.

— აი შემომხედეთ, დაიწყეთ ენოქმა, შემოაბხედეთ ჩემს სახეს ტანისამოსს! არა ვგვერდ განა კაცს? სწორედ ასე იქნება! რაღა მიმიგავს ადამიანს? გაყვითლებულ-დაწყლულებული სახე? შიშველი ტანი? კაცს ხომ ადამიანური სახე აქვს, ადამიანი ხომ შემოსილი ღედის, კაცს ხომ თავ-შესაფარი, ბინა უნდა ჰქონდეს?!

მე-კი რა მიმიგავს კაცს? ხედავდით წყლან როგორ ხარხარებდნენ ჩემზედ, რაქნა მშვიერი ხომ ვერ მოკვდები... გრაშის გულისთვის... აქ მოხუცს შეუწყდა ხმა, თავი დაბლა დაჰკიდა და ქვითინი დაიწყო. მერე ძალდატანებით აიღო მადლა თავი და კვლავ დაიწყო. დიან, მე სასუნელი ვახლავართ, ხოლო რამ მომიყვანა აქ, ან რამ ჩამავლო ამ მდგომარეობაში ამას ეხლავე გეტყვით: სასუნეი ეხლა ოსმალის ეკუთვნის, დრო იყო, რომ ის მათ არ ეკუთვნოდათ. მას აქეთ, რაც იქ მცხოვრებნი ოსმალთ ქვეშევრდომნი შევიქნებით, ჩვენთვის სიცოცხლე ტანჯვად გადაიქცა. ისინი ისე გვიყურებდნენ ჩვენ, როგორც საზიზარ ქმნილებ.

ნ ა წ ე ვ ე ტ ი .

III

...მეფე ჰენრიხ მეოთხე ამბობდა, ნეტა იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ საფრანგეთის გლეხს კვირა დღეს მაინც ექნებოდა სუფრავე ქათამიო. შესაძლოა, ქართველ გლეხთა უმეტესი ნაწილი კვირაობით ქათმის წვეცსა სწვნიდეს, მაგრამ მათი ქონებრივი მდგომარეობა მაინც მიძიმედა სამწუხაროა. ოცდაათმა წელმა განვლო რაც ბატონ-ყმობა მოისპო. ეგ ისეთი ხანია, რომლის მანძილზე ზოგი დაცემული, უცნობი გაუნათლებელი, ღარიბი ვერი, აღმალდა, განათლება შეიძინა, საისტარიო მოედანზე გამოვიდა და ეროვნული დროში მალა ააფრიალა. მაგალითების მოყვანა რა საქროა. ცხოვრება და მეცნიერება ისეთ რიგად მიისწრაფებიან წინ, რომ ჩვენის დროის ათი წელიწადი უწინდელ ასწელიწადს უდრის.—მერე რა სიკეთე დაეყარა თუნდ იმ ნაწილს ჩვენის ერისას, რომელიც შეადგენს არა მარტო უმეტესობას, არამედ ჩვენის ქვეყნის ძალს, ღონეს, სიმარეს, რომელიც ქვეყანას ჰკვებავს, არჩენს, ლუქმას აწოდებს? მრთელი ქართლ-კახეთის გლეხობა თითქმის იგეთივე მდგომარეობაშია, რამდგომარეობაშიდაც ბატონ ყმობის დროს იყო: ასში ათს არ შეუძენია საკუთრება, არ შეუსყიდა ბატონისაგან თავიანთ მამულები, თუმცა თფილისის გუბერნიაში მიწა-წყალი შედარებით ძლიერ იაფია. ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ორმოცი ორმოც-და-ათი თუმანი ეყოფოდა გლეხს ბატონისაგან მიწა-წყლის შესასყიდად, და მესამედი საუკუნის განმავლობაში ეს ფული ვერ მოუხერხებია, დამოუკიდებლობა შეეძინა, თავისუფლება დაემკვიდრებინა.

მათ. ისე გვეტყვოდნენ, როგორც თვისი გამხეცებული ბუნება წასჩურჩულებდათ. მინდორში მოსავალს გვიხდნდნენ, სახლებს გვიწვამდნენ, გვჩხავდნენ, გვძარცვავდნენ. მათ სასჯელისა არ ეშინოდათ და არც მართლ-მსაჯულება სდევნიდა ბოროტ-მოქმედთ. ან სად იყო მართლ-მსაჯულება, როდესაც თვით წესიერების დამცველი უარესს სჩადიდდნენ. ისინი უფრო თამამად შემოდიდდნენ ჩვენს სახლებში და გაჰქონდათ რასაც-კი მოისურვებდნენ. თუ წინააღმდეგობას გაუწყვდით, სახელმწიფო ღალატს დაგვწამებდნენ და ციხეში გვისტუმრებდნენ. ამასაც აღარ გვაჯერებდნენ გვიპატიურებდნენ ცოლს, უბოწო ქალიშვილებს, გვხდიდნენ ნამუსის ქულს. გაიგო ფილა მოთმინებისა. გადაწყვეტიტე ჩვენც პასუხი გავვეცა. დაგვეცვა ჩვენი სარჩო, სახლ-კარი, ნამუსი. მათ ეს იუკარისეს უფრო გამძვინვარდნენ, იქამდის მიგვიყვანეს, რომ იარაღს ხელი წავავლეთ. დიან, იარაღს ხელი წავავლეთ მაგრამ არა მათ და შესატყვარად არა თავდასაცემად, არამედ მოსაგერებლად. მაგრამ ვიძლიერებით. რას ვავხდებოდით სისხლის ღვრაში ვაწაფულ ქურთ-ოსმალეთან ჩვენ, გუთანზედ ხელებ დაკორებულნი. სისხლი დაიღვარა, ანუ უკეთ რომ ვსიტქვით, სისხლი იღვრებოდა, მხოლოდ წინედ ნელ-ნელა წვეთ-წვეთად ეხლა-კი ნაკადულებრ. ამ სისხლში ჩემნი თანამომენი ცუ-

ვიმეორებ, მას ჯერ თავისუფლების გემო არ უგემებია, არ გამოუცლია ის უმაღლესი გრძობა, რომელიც ღვივის ადამიანის გულში, როცა მას ფეხი საკუთრებაზე უდგას, როცა მას შეუძლია სთქვას: ეს ჩემია, აქ მე ვარ ბატონიო. ამას ვინ დაემებს: ამბობენ, ქართლ-კახელი გლეხი, ახლა უფრო გაქირვებაშია, ვიდრე ბატონ-ყმობის დროს იყო. ვაი! ნუ-თუ პირად თავისუფლებას უნაყოფოდ ჩაუვლია? ეს ვერაფერი საიმელო ამბავია.

იმერეთის საქმე აქამდის ცოტა უკედ მიდიოდა. მკვირცხლმა ნიჭიერმა, მოძრავმა და მუდამ მომქმედმა იმერელმა გლეხმა თავისუფლებით ისარგებლა, უცებ შეიგნო დამოუკიდებლობის გემო. თუმცა იმერეთში მიწა-წყალი ბევრად ძვირია ვიდრე სხვაგან კავკასიაში, მაგრამ ასში ათი არ დარჩენილა ბატონისაგან მიწა-წყალი არ შეესყიდოს, ქონების სრული პატრონი არ გამხდარიყოს. შორაპნის მაზრაში და რაქაში ორას სამას თუმანობით მისცეს თავიანთ ბატონებს და ისრე დაიხსნეს თავი დამოკიდებულებისაგან. ამ ბოლო დროინდელი უბედურება რომ არა, იმერეთის გლეხობის საქმე კარგად მიდიოდა; მის ქონებრივ ცხოვრებას ყოველ მხრივ გაუმჯობესება დაეტყო. შორაპნის მაზრაში, რაც უნდა დაქვეითებული გლეხი ყოფილიყო, ოცი-ოცდა-ათი თუმანის ღვინოს მაინც გაჰყიდა წელიწადში. ქვემო იმერეთში და სამეგრელოში სიმინდიც დიდ ხერს იძლეოდა, რადგან საზღვარ-გარედ გზა გაიჩინა.

ქონებრივ წარმატებას სწავლა-განათლების წყურვილიც მოჰყვა: სოფლებში სკოლები გამრავლდა, წერა-კითხვა გავრცელდა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში იმერეთს ბევრი უბედურდნენ, ახალგაზდანი ხელში ხმალი-გადამტყრეული, მოხუცი ზეცისაკენ ხელმ-გაპყრობილი, მანდილოსანი ძუძუთა ბალებით გულზედ მიკრულნი. მოსრა მრავალი სოფელი, მრავალი გამოვსალმა თვის სახლ-კარს, ვინც დაიხოცნენ მათ კარგი მოუვიდათ. მკვდარს ხომ აღარ ესმის ტანჯვა! ვინც ცოცხალი დავრჩით მტრის მახვილს ვემალებოდით. მაგრამ სიმშლის საღა და ვემალებოდით? მოხუცი მამა შვილებს (თუ კი დარჩნენ) სიმშლით ხელზედ უკვდებოდათ. ძუძუთა ბალები დედას გამოფიტულს ძუძუებს ულოდნიდა და ორივე ერთად ესალმებოდნენ გატანჯულ სიცოცხლეს. ქალწული ქალი, გატიტვებული, სირცხვილით ლევდა სულს და ხელის კვრით იკერიებდა პირუტყვული გრძობებით გამოძინვარებულს მტერს. არც მე ავციდი საერთო უბედურებას. მეც ჩემ თანამემამულეთა დღე დამადგამეცა მქონდა ოჯახი, სახლი, კარი, მყვანდა ცოლი, ქალიშვილი, ორი ვაჟი, ორივენი მტერს შეაკვდნენ. დედა ზედ დაჰტრეს თვის გაუპატურებულს ქალს. მამამ აი მამა შენ წინა სდგას და არ გიკვირს რომ მას კიდევ უდგა პირში სული? არ ვიცი რა ცოდვა მიმიძღვის უფალთან, რომ მე ცოცხალი დამტოვა. ბევრჯელ ჩაუვარდი მტერს მახვილ ქვეშ; სიკვდილი არ მედრისა. ერთხელ როდესაც დანგრეულს ტაძარში ღმერთს ვემუდარებოდი, უკანდამ

ღურება წამოაწყდა თავს: სხვა-და-სხვა გვარმა სენმა ვენახები გაანადგურა, ოთხ-ხუთის წლის განმავლობაში სრულიად მოსპობს; სიმინდის ფასი დაეცა და კიდევ რომ არ დაცემულიყო, ნიადაგი ისე რიგად დამქლევდა, რომ ნაყოფს უწინდებურზე ნახევარსაც არ იძლევა. მიწის მოვლა და დამუშავება მურვან-ყრუს დროინდელია. ქართლ-კახეთშიაც ამ მხრით არავითარ ცვლილებას არ ვატყობთ. მხოლოდ აქაიქ კახეთში ბალების გაშენებას ევროპიული გავლენა დაეტყო. მაგრამ ამითი რას ვავხდებით?

თუ საქმე ასე წავიდა, ცუდი ბოლო მოგველის: მიწა ვერ ააყენებს ნაშრომის, დანახარჯის ფასს და ეს მეტად ცუდი ნიშანია: პატრონისა და მიწა-წყლის შორის მოსპობა ის მჭიდრო კავშირი, რომელმანც ამდენი საუკუნე გვასულდგმულა, ჩვენის ქვეყნიდან ფეხი არ აგვადგმევინა და საქართველოს ნიადაგს, მის მთა ბარს შეგვასისხლობოცა.

აი, ამ კავშირის შესუსტების შიში გვაქ ჩვენცა და იმათაც, ვინც დღლადებს და ამტიცებს, დროა სამეურნეო განათლების გავრცელებას შეუდგეთ, თორემ ქვეყანა ხელიდან წავივია, ლათინურითა და ბერძნულით ჩვენ სამშობლოს ვერ შევირჩენთო. დაიწყებული მწერალი.

ქ ო რ ა ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა .

ოქტომი (სამეგრესაყანა): აქ წიგნთ-სადაც-სამეოთხეჯელს გახსნის ნუბ-რთვა კარგა ხანია მივიღეთ, მაგრამ ამ საქმის სამეფო გზაზედ დაუწყებამდე არ გავინდოდა გამოგვეშკარავებინა ეს ამბავი. დღეს ამდენად მანც მოგწვეთ საქმე, რომ სულ მოგვს ხანში ოქტომის სამეოთხეჯელს ექმნება საკუთარა ჰატარა სასლი. ბ-მა ენგურჯმა ამას წინად გავიგრძენ, მტრის მახვილმა კისერზედ გამიელვა. მე გულ შედონებული ძირს დავეცი და 1894 წელს, 25 დეკემბერს, ყარსში რუსის ფურგუნზე დაწოლილი მოვედი გონს. თავზარ დაცემულ თანამემამულეებს წამოველე მე აქეთკენ. ეხლა ხომ მიხვდით რამ მომიყვანა მე აქ. დღევანდელს დღეს მეც ჩემს ოჯახში ტკილად ვეგებებოდი დღესასწაულს. ეხლა-კი აქ სალამურით ხელში, რომლის დაკვრაც ჯერ ისევ მწყვესობაში ვისწავლე, კარისკარ დაწვანწალებს ლუკმა პურის საშოვნელად და რომელსქუჩაზედ ამომიგვა სული,—ეს სულ ერთია. ვეღარც ჩემი ძვლები ეღირსა სიბერის დროს, თავის სამშობლოში დამარხვას.

აქ გაათავა ენუქმა და თავი დაბლა ჩაჰკიდა. ის ხანდისხან ამოიხრებდა ხოლმე და სულიერ ტანჯვის და მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ ტკივილებისა გამო, საცოდავს მოხუცს სახე მწარედ უთრთოლამდა და თეთრს წვერზედ ჩამოსდიოდა ნაკადულებრ ცხარე ცრემლები. ამ ცრემლებმა მიმხვედრეს, რად არ უნდოდა ენოქს ეამბნა თავისი ვინაობა. მე შემრცხვა და გულში ვუსაყვედურებდი ჩემს ცნობის მოყვარეობას. მინდოდა მე-ნუგეშებინა საცოდავი, მაგრამ რაი? მისთვის ხომ ყველაფერი დაკარგული იყო!

ი. ველაშვილი.



სერიის №№-ებია ნაჩვენები, რადგანაც ნომრები გირავნობის ფურცლებისა თვითვე ამ სერიისა მოსდევნენ ერთმანეთს ცალკე, დაწყებული 1-ლიდან. დანარჩენს სერიებში, დაწყებული მერვედამ, ნომრები სერიებისა იმავე ფურცლებისა არ არის ნაჩვენები, იმიტომ რომ ამ სერიებზე ნომრები გირავნობის ფურცლებისა სწორედ მოსდევნენ და მათი გამოცემა შეუძლებელია.

გირავნობის ფურცლები, რომლებიც ოც-და-შეთვრამეტე ტირაჟში გამოვიდნენ. ექვს პროცენტის (6%) ფურცლები.

43 1/2 წლის ვადით. 100 მან. ღირებულობისა.

5 სერიისა №№ 175, 176 და 177. 6 სერიისა №№ 96.

უკანასკნელ სერიებისა №№ 1193, 1194, 1309, 1311, 1317, 1332, 1333, 1334 და 1335.

500 მან. ღირებულობისა.

4 სერ. № 11. 5 სერ. № 38 და 39. 6 სერ. № 50.

უკანასკნელ სერიებისა № 418, 471, 513, 576 და 577.

1000 მან. ღირებულობისა. 3 სერ. № 48.

უკანასკ. სერიებისა № 311, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 653, 654, 655, 678, 679, 717, 719, 730, 731 და 763.

ექვს პროცენტის (6%) ფურცლები 18 1/2 წლის ვადით.

100 მან. ღირებულობისა. 7 სერ. №№ 69, 70, 71, 74, 76, 77, 102, 104, 105, 111, 112, 113, 122, 123, 134, 135, 136, 141 და 143.

უკანასკ. სერიებისა №№ 841, 843, 847, 849, 957, 959, 1054, 1055, 1056, 1228, 1230, 1232, 1233, 1234, 1236, 1243, 1244, 1271, 1403, 1404, 1406, 1421, 1422, 2171, 2179, 2187, 2190, 2191, 2193, 2717, 2718 და 2779.

500 მან. ღირებულობისა. 7 სერ. №№ 5, 6, 7 და 14.

უკანასკ. სერიებისა №№ 355, 582, 713, 850, 854, 855, 856, 857, 858, 1157, 1158, 1159, 1177 და 1243.

1000 მან. ღირებულობისა. 3 სერ. № 3.

7 სერ. № 49.

უკანასკ. სერიებისა № 292, 344, 345, 361, 901, 909, 910, 1071, 1072, 1073, 1521, 1522, 1524, 1525, 1526, 1527, 1529, 1532, 1533, 1534, 2111, 2112, 2114, 2121, 2122, 2123, 2124, 2127, 2128, 2129, 2130, 2352, 2356, 2357, 2362, 2364, 2366, 2758, 2768, 2769, 2969, 2994, 3032, 3033, 3046, 3072, 3073, 3074, 3075, 3076, 3077, 3078, 3079, 3080, 3081, 3082, 3084, 3085, 3086, 3203, 3204, 3220, 3221, 3222, 3223, 3224, 3225, 3226, 3227, 3228, და 3229.

ხუთ პროცენტის (5%) ფურცლები 48 1/2 წლის ვადით.

100 მან. ღირებულობისა. 1 სერიისა № № 28, 32, 33 და 34. 2 № № 251, 252, 253 და 254. 3 № 404.

1000 მან. ღირებულობისა. 3 სერიისა № 126.

ხუთპროცენტის (5%) ფურცლები 19 1/2 წლის ვადით

100 მან. ღირებულობისა. 1 სერიისა №№ 95, 96, 114, 119, 120, 121, 122 და 123.

2 № 212. 3 № № 495, 496, 497, 498, 499, 500, და 501.

4 № № 726, და 727. 500 მან. ღირებულობისა.

1 სერიისა № 35 და 36. 2 № 164.

1000 მან. ღირებულობისა. 1 სერიისა №№ 47, 48, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, და 64.

2 № № 130, 131, 132, 133, 144, 145, და 146.

3 № № № 279, 280, 283, და 284. 4 № 340.

6 № № 443, 444, 445, და 446.

დეკემა

(რუსეთის დეკემბრის საგენტოსაგან).

2 იანვარი.

პატივსაცემი. დამატებითი ბიულეტენი ბირჟისა: ტფილისის სათავადო-აზნაურთა საადგილო-მამულო ბანკის 6% გირავნ. ფურცლ.—101 მან. გაყიდულია, 5%—98 მან. მყიდვ. ქუთაისის ბანკისა 6%—100 მან. მყიდვ. და 5%—98 მან.—მყიდვ.

საღამოს დეკემა

4 იანვარი.

პარისი. რუსეთის ბიუჯეტის მდგომარეობა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. უფრო გაძლიერდა აზრი, რომ რუსეთის ფინანსთა მდგომარეობა მეტად კეთილსაიმედოა.

„ჩიგარო“ ურჩევს ინგლისს გარდაწყვიტოს ეგვიპტის საქმე საფრანგეთთან შეთანხმებით. მაშინ დამკვიდრდება მეგობრობა ორს უდიდეს სახელმწიფოთა შორისო.

რომი. კლერიკალთა წრეებში ამბობენ, რომ პარასკევს რომში ჩამოვა პრინცი კობურგისა ფერდინანდი, რათა მოელაპარაკოს პაპის თავისის შვილის ბორისის მართმადიდებლად მონათვლის შესახებ.

მილანი. გენერალი ბალდისერა მასსოვას მიდის. ის თხოულობს 4000 კაცს მიმშველ ჯარად. ამბობენ, თებერვალში გენუას ინახულებენ ერთმანეთს „სამთა კავშირის“ ხელმწიფენი.

კონსტანტინოპოლი. ინგლისის ესკადრა, შემდგარი 4 ჯაგვიან გემისა და 1 კრესისისაგან, სალონიკი-დამ ალექსანდრეტას მიდის.

ლონდონი. ჩემბერლენმა გაუზიარა რომინსონს დეკემბრის, რომელიც აცხადებს შიშს—მრავალის ხალხის დატუსაღებამ ვაჭრობა-მარწყვე-

ლობა არ დასცესო. ჩემბერლენი ეკითხება, რა ზრალი ედება დატუსაღებულთ, შეიძლება თუ არა თავდებობით მათი განთავისუფლებაო. ეს დეკემბრის, როგორც ამბობენ, ამერიკისა და ბელგიის ელჩების თხოვნით გაიგზავნაო.

„ტიამს“ის სიტყვით მთავრობა დაეკითხა გემის შეკეთებელ ფირმებს, რა პირობით გააკეთებენ 10 ახალ კრესისებს; გარდა ამისა მთავრობამ სთხოვა ფირმებს—გემების კეთების დროს უპირატესობა მთავრობისაგან შეკვეთილს გემებს ჰქონდეს და არა კერძო პირთაგან.

ირლანდიაში მოხდა რამდენიმე დიდი მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს—სთხოვეთ კრიუგერს, რომ მან არ გაანთავისუფლოს ინგლისელნი ტყვენი იმ დრომდე, სანამ ინგლისის მთავრობა არ გაანთავისუფლებს ირლანდიის პოლიტიკურ დამნაშავეთ.

„ივერიის“ ფოსტა.

ქუთაისი. ი. ვაზუნას: თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ქაპაპას, თერგ-დალეულს: ბალის შესახებ უკვე დაიბეჭდა კორესპონდენცია და ამიტომ თქვენი აღარ დაიბეჭდება.

ბუილისში, მ. ია—ს: „სასიამოვნო ამბავი“ არ დაიბეჭდება.

იძვბ, მთისშვილს: ლექსი „დრო მოვა“ არ დაიბეჭდება.

იძვბ, ილია გლეხიშვილს: თქვენი მილოცვა არ იბეჭდება.

დ. დიმიტრიანი, ტ. ინსარიძეს: თქვენს წერილში სია შემომწირველთა არა ყოფილა.

განცხადებანი

!!ერიდეთ, არ მოსტყუდეთ!!

ჰიპოთეკური

ბორნო-ციმოეულის საბონი **გ. ვ. იურბანისა**

აქრობს ჰორფლს, სიციხეგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მკამელასა და მეტეპებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნუნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

აქრას მედლია 1895 წ.

ფასი თვითონ ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთი-აქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურბანის მისკოვში აქვს. დეპო ტფილისში ავტორთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინთან, გრიფაკთან, მმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—1)

მაქვს ფაჩნაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე მართველთა შველა ბამიჩანის კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ სახოცხედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტეხელ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ღამისა სანადგობა-ბუჯი (აბაურის) მართველთა ბამიჩანის სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრო-ბიშვიის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ

на армянскую газету

М Ш А К Ъ

(двадцать четвертый годъ изданія).

Въ 1896 году „Мшакъ“, газета политическая и литературная, какъ и въ прошлые годы, будетъ издаваться въ Тифлисѣ, по прежней программѣ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 рубл.; на 11 и 10 мѣсяцевъ—9 руб.; на 9 и 8 мѣсяцевъ—8 руб.; на 7 мѣсяцевъ—7 руб.; на полгода—6 руб.; на 5 мѣсяцевъ—5 руб.; на 4 мѣсяца—4 руб.; на 3 мѣсяца—3 руб.; на 2 мѣсяца—2 руб.; на 1 мѣсяца—1 рубль.

Подписка и объявленія принимаются въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи (уголь Баронской и Базарной ул.).

Объявленія принимаются на армянскомъ, русскомъ и иностранныхъ языкахъ. Цѣна за объявленія—2 коп. со слова.

Адресъ для всей имперіи: Тифлисѣ, Редакція „Мшакъ“. Адресъ для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak“.

Открыта подписка на 1896 г.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(тринадцатый годъ изданія).

Въ 1896 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической, **НО ВЪ УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТѢ.**

ПЛАТА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ: съ пересылкою и доставкою: на годъ—10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяць—1 р. 50 к. За границу: на годъ—17 р., полгода—9 р.; на 3 мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учреждений плата пониженная: на годъ—7 р., на полгода—4 руб.

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, допускается разсрочка на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка принимается въ Тифлисѣ—въ конт. газеты, Барятинск., № 8.

Лица, подписавшіяся на годовое изданіе «Новаго Обозрѣнія» 1896 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

„ივერია“

1896 წელსაც გამოდის უკველადე, კარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმებს. ფასი განეთისა:

12 თვით 10 მ.—კ.	6 თვით 6 მ.—კ.
11 „ 9 „ 50,,	5 „ 5 „ 50,,
10 „ 8 „ 75,,	4 „ 4 „ 75,,
9 „ 8 „ —,,	3 „ 3 „ 50,,
8 „ 7 „ 25,,	2 „ 2 „ 75,,
7 „ 6 „ 50,,	1 „ 1 „ 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის კარგ მცხოვრებთ უნდა დაბარდნ განუთა შემდეგას ადრესით: Тифлисъ, Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული განუთი ტფილისის გარეშე ადრეს-ზედ შესცვლა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარეშე, —ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ განუთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება განუთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება განუთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბამად

ა) მუთათე გეგმად თითო ჯერ სტრაქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გეგმად—30 მანეთი, ხოლო პირველი გეგმად—60 მანეთი. რაცხევი სტრაქონისა გამოანგარაშება იმის კვლობაზე, რომდენს ადგილსაც დაჭერს 25 ასო განუთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგანთა წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციის ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წერილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალოპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმებს გარდა, ათ საათიდან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.